

მშობლების დედაპნა



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union





საჩუქრად დიდი სიყვარულით



ადამიანებს, რომლებიც ბავშვებთან ურთიერთობენ, განსაკუთრებული მისია აკისრიათ. ამიტომაც მათ ბავშვის აღზრდის პროცესში მხარდაჭერა სჭირდებათ.

ამ დედაენაში ჩვენმა სპეციალისტებმა მოგიზადეს ინფორმაცია პოზიტიური მშობლობის პრინციპების, ბავშვის განვითარების კანონზომიერებისა თუ მშობელსა და ბავშვს შორის კომუნიკაციის თავისებურებების შესახებ.


აქ შეხვდები ბევრ საინტერესო ფაქტს, ამბავს, პოზიტიური აღზრდის მეთოდსა და სასარგებლო რჩევას, რომელიც, იმედია, ოდნავ მაინც დაგეხმარება, იმშობლო იმაზე უკეთ, ვიდრე გუშინ.

წიგნში შეტანილი სავარჯიშოების მიზანი არა ზუსტი პასუხების გაცემა, არამედ დაფიქრება და იმის გააზრებაა, თუ როგორია ჩვენი ამჟამინდელი მიდგომები და რა გვაქვს შესაცვლელი. მთავარი ხომ ერთია – ჩვენი შვილების კეთილდღეობა და განვითარება.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სხუდად პასუხისმგებელია ავტორი და ახ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

ანბანი

ბი, კალაღობის
ფორმები






ანკესი

ან კ ე ს ი

ან კ ე ს ი

აი, ანკესი. ეს ანდრეას მშობლების ანკესია. ანდრეას ანკესი გაუტყდა. მშობლებმა ანდრეას უყვირეს.




თ

თმა

თ მ ა

გრძელი თმა. ოქროსფერი თმა. ანას გრძელი ოქროსფერი
თმა აქვს. ანამ მშობლებს თხოვნა არ შეუსრულა.
მშობლებმა ანას თმა მოქაჩეს.




კ

კუთხე

კ უ თ ხ ე

კ უ თ ხ ე

ეს კუთხეა. აი, კუთხე. აი, კატოს ოთახის კუთხე. მშობლები კატოს გაუბრაზდნენ. მშობლებმა კატო კუთხეში დააყენეს.



ლ

ლოყა

ლ ო ყ ა

ლ ო ყ ა

ლოყა წითელია. ეს ლოყა ლელასია. აი, ლელას წითელი
ლოყა. ლელამ ლარნაკი გატეხა. მშობლებმა ლელას
ლოყა აუწითლეს.



á


მ

მობილური

მო ბ ი ლ უ რ ი

მ ო ბ ი ლ უ რ ი

ეს მობილურია. მობილური ჩართულია. მშობლები მობილურში იყურებიან. შვილი ყურადღების მიქცევას ცდილობს. მშობლები შვილს ყურადღებას არ აქცევენ.





რვეული

რ ვ ე უ ლ ი

რ ვ ე უ ლ ი

რუხი რვეული. ანასტასიას რუხი რვეული. ანასტასია
ამოცანას ვერ ხსნის. ანასტასია მშობლებს დახმარებას
სთხოვს. მშობლები ანასტასიას ყურს არ უგდებენ.



ს

სახელური

ს ა ხ ე ლ უ რ ი

ს ა ხ ე ლ უ რ ი

ეს სახელურია. კარი სახელურით არ იდება. სანდრომ
მშობლები გააბრაზა. სანდროს ოთახის კარი
ჩაკეტილია. მშობლებმა სანდრო
ოთახში გამოკეტეს.



ფ

ფანქარი

ფ ა ნ ქ ა რ ი

ფ ა ნ ქ ა რ ი

ფანქარი გათლილია. სოფოს ცისფერი ფანქარი. სოფომ
ცისფერი ფანქრით სახლის კედელი მოხატა. სოფოს
მშობლებმა ხელებში ჩაარტყეს.



ქ

ქულა

ქ უ ლ ა

ქ უ ლ ა

აი, ქულა. შვიდი ქულა. ქეთომ საკლასო წერაში საშუალო ქულა მიიღო. მშობლები ქეთოს გაუჯავრდნენ. მშობლებმა ქეთოს ქულა სხვებისას შეადარეს.



ყ

ყური

ყ უ რ ი

ყ უ რ ი

აი, ყური. ორი ყური. ეს გიორგის ყურია. გიორგიმ
მშობლებს არ დაუჯერა. მშობლებმა გიორგის ყური
აუწიეს.



ც

ცრემლი

ც რ ე მ ლ ი

ც რ ე მ ლ ი

აი, ცრემლი. ცხარე ცრემლი. ეს თათიას ცრემლებია.
თათიას მშობლებმა სხვების თანდასწრებით
დასცინეს. თათია ცხარე ცრემლებით ტირის.





წმინდა

წმინდა ანა

წმინდა ანა

ცხელი წვნიანი. ერთი ჯამი წვნიანი. ეკა ნახევარმა ჯამმა
წვნიანმა დაანაყრა. ეკამ წვნიანი ბოლომდე ვერ
მიირთვა. მშობლები ეკას დაემუქრნენ.



ცუდი ღ კარგი

დამოკიდებულებები

ყვითელი კაბა



იყო ერთი ოჯახი – დედა, მამა და პატარა მარიამი. ერთ დღეს, როდესაც მთელი ოჯახი სტუმრად მიდიოდა, მარიამმა ყვითელ კაბაში გამოწყობა გადაწყვიტა, თუმცა მშობლებმა მისი ჩაცმის ნება არ დართეს. შვილისთვის მათ სხვა ტანსაცმელი ჰქონდათ გამზადებული. პატარა მარიამს თვალებიდან ცრემლები წასკდა და საყვარელი კაბის ჩაცმას ითხოვდა. ამაზე მშობლები გაბრაზდნენ – უყვირეს, ყური აუწიეს და იმ დღეს სტუმრადც აღარავისთან წასულან.

საპარჯიშოები

ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის ბავშვზე ძალადობის ფორმა?

ა) ყურის აწევა ბ) ყვირილი გ) მხარდაჭერა

შეადგინე წინადადება: ტიპის, ყველა, ძალადობა, ბავშვზე, მიუღებელია.

როგორ მოიქცეოდი პატარა მარიამის მშობლების ადგილას?

მეზობლები



ახალდაქორწინებული პაატა და თამარი საცხოვრებლად ახალ სახლში გადავიდნენ. თითქოს ყველაფერი კარგად იყო, თუმცა გადმოსვლის დღიდან ქვემოთა სართულიდან სულ ჩხუბისა და ბავშვების ტირილის ხმა ამოდიოდა.

თავიდან იფიქრეს, რომ “სხვისი ოჯახის საქმეში” ჩარევა არ ღირდა, მაგრამ ერთი ასეთი შემთხვევის დროს მეზობლებთან ჩასვლა და სიტუაციის გარკვევა გადაწყვიტეს. მასპინძლებმა ისინი აგრესიულად გამოისტუმრეს და უთხრეს, რომ თავიანთ შვილებს ისე გაზრდიდნენ, როგორც მოესურვებოდათ. ამის შემდეგ კი წყვილმა საქმეში პოლიცია და პროფესიონალები ჩართო.

საკვარჯიშოები

როგორ დაახასიათებდი პაატასა და თამარის
საქციელს?

ეთანხმები თუ არა შემდეგ წინადადებას:
მეზობელი, რომელიც ბავშვის ძალადობისგან დაცვის
მიზნით „სხვისი ოჯახის საქმეში“ ერევა, ცუდი
მეზობელია

გამოიცანი გამოტოვებული ასოები: თუ ოჯახში ბავშვზე
ძალადობა ხდება, ეს სცილდება „ო - - - - საქმეს.“

განსხვავებული ანა



რამდენიმე ხნის წინ 12 წლის ანამ გარეგნობის შეცვლა გადაწყვიტა. მან თმა საკუთარი ხელით მოკლედ შეიჭრა და ლურჯად შეიღება, ხოლო ჩაცმის სტილი არსებულისგან რადიკალურად განსხვავებული შეარჩია.

მას ეს ძალიან მოსწონდა, მაგრამ მის მშობლებს განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ, რადგანაც თანატოლებისგან შესამჩნევად გამოირჩეოდა. ისინი ანას ყოველდღე “არანორმალურს” ეძახდნენ და სხვადასხვა სალანძღავი თუ დამამცირებელი სიტყვით მოიხსენიებდნენ.

ანამ წნებს ვეღარ გაუძლო. იგი გულჩათხრობილი და უხალისო გახდა, თუმცა ახლა ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც მის მშობლებს სურდათ.

საკვარჯიშოები

**“კარგი ბავშვი მკვეთრად არ განსხვავდება
უმრავლესობისგან.” ეთანხმები თუ არა მოცემულ
წინადადებას? პასუხი დაასაბუთე.**

დაასრულე ფრაზა: ყველა ბავშვი - - - - -

ა) უნდა იყოს ერთნაირი ბ) ინდივიდუალურია

რომელია ზედმეტი?

ა) მხარდაჭერა ბ) ხელშეწყობა გ) გალანძვლა

ცელქი ბიჭიკო



ერთ პატარა სოფელში პატარა ბიჭუნა, ბიჭიკო, ცხოვრობდა. მისი მშობლები მთელ დღეებს მუშაობაში ატარებდნენ და შვილისთვის დრო იშვიათად თუ რჩებოდათ.

როდესაც მშობლები ბიჭიკოსთვის მცირე დროს გამონახავდნენ, ბავშვი "ყირაზე გადადიოდა." რასაც შეეხებოდა, ყველაფერს აფუჭებდა. მშობლებისთვის ეს დიდი თავსატეხი იყო. ვერაფრით ხვდებოდნენ რატომ იქცეოდა ბიჭიკო ასე... ამის გამო სულ უბრაზდებოდნენ და ბიჭუნაც მომდევნო 2-3 დღის განმავლობაში "სანიმუშოდ" იქცეოდა. შემდეგ კი კვლავ თავის ჩვეულ ოინებს უბრუნდებოდა.

როგორც მშობლები ამბობდნენ, მას არც ტკბილი სიტყვის ესმოდა და არც – მუქარის. ამიტომაც დასჯის ახალ მეთოდს მიმართეს – შვილის ყოველ არასასურველ საქციელს ოთახში გამოკეტვით პასუხობდნენ. ბიჭუნას კი ყველაზე მეტად მართობა არ უყვარდა და ცელქობითაც სწორედ ამის გამოხატვას ცდილობდა.

საბოლოოდ, ბიჭიკო ისე გაიზარდა, რომ არც მშობლებს უცდიათ მისი საქციელის მიზეზების გაგება და არც თავად შეუწყვიტავს ცელქობა...

საკვარჯიშოები

იპოვე არაეფექტიანი მეთოდები: დასჯა, იზოლაცია, გაგება

შენი აზრით, რომელი ალბრდის მეთოდი არ უცდიათ მშობლებს ბიჭიკოსთან? რა შედეგი ექნებოდა ამ მეთოდს?

როგორ ფიქრობ, რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვის ქცევის მიზეზების ძიება?

გულაცრეებული ნუცა



ნუცა აქტიური და წარჩინებული მოსწავლე გახლდათ. ის ხან ხატავდა, ხან მღეროდა, ხანაც სხვადასხვა ღონისძიებაში იღებდა მონაწილეობას. მშობლებისგან კი საქებარი სიტყვები არასდროს გაუგონია, რადგანაც დედა და მამა ამ ყველაფერს ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამდნენ.

თუმცა, როდესაც საქმე რაიმეს „დაშავებას“ ეხებოდა, ყველაფერი სხვაგვარად ხდებოდა. ერთხელ ნუცას მასწავლებელმა ყოფაქცევასთან დაკავშირებით შენიშვნა მისცა. ამ ამბის გაგების შემდეგ მას სახლში ძალიან გაუბრაზდნენ და რამდენიმე დღით მობილური ტელეფონიც კი ჩამოართვეს.

საბოლოოდ, ნუცა მიხვდა, რომ დედ-მამის კეთილგანწყობის მოპოვება შეუსრულებელი მისია იყო. დროთა განმავლობაში კი გული კარგად სწავლაზე, ხატვაზე, სიმღერასა და სხვადასხვა ღონისძიებაში ჩართვაზეც აიცრუა...

საკარჯიშობი

რა გახდა ნუცას გულის აცრუების მიზეზი?

ნუცას მშობლების ადგილას რომ იყო, როგორ დაეხმარებოდი მას ნიჭის გაღვივებაში?

შენი აზრით, რა უნდა იყოს ბავშვის აღზრდის მიზანი?

„მზრუნველი“ ოჯახი



ნიკოლოზს ყურადღება და ზრუნვა დაბადებიდანვე არ აკლდა. მშობლებს მასზე მზე და მთვარე ამოსდიოდათ. ეგონათ, რომ თუ მის თითოეულ გადაწყვეტილებას გააკონტროლებდნენ ამით ნიკოლოზს დაეხმარებოდნენ და უამრავ საფრთხეს წინასწარ აარიდებდნენ. ნიკოლოზმა ისეთი მარტივი ქმედების დამოუკიდებლად შესრულებაც კი არ იცოდა, როგორც ფეხსაცმლის თასმის შეკვრაა.

ერთხელაც, ეზოში მეგობრებთან თამაშისას, ნიკოლოზს თასმა გაეხსნა და მიუხედავად მრავალი მცდელობისა, შეკვრა ვერაფრით მოახერხა, რის შემდეგაც წამოდგა, გაქცევა გადაწყვიტა და პირველივე ნაბიჯის გადადგმისას მძიმედ დაეცა. ძალიან სტიკიოდა ფეხი და ვიღაცამ უთხრა: „– ქორწილამდე გაგივლის...“

გამოდგა ხანი. ნიკოლოზი არ დაქორწინებულა. ნატკენმა გაუარა, თუმცა დღემდე არც თასმის შეკვრა იცის და არც დამოუკიდებლად შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, რის გამოც ცხოვრებაში ისევ უამრავ დაბრკოლებას აწყდება.

საკვარჯიშოები

რატომ ვერ ისწავლა ნიკოლოზმა თავისით თასმის შეკვრა?

როგორ მოიქცეოდი მშობლების ადგილას?

როგორ ფიქრობ, რა არის საჭირო, რომ ბავშვი გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას მიეჩვიოს?

სტატისტიკა



2018 წლის მონაცემებით, საქართველოში მცხოვრებ ბავშვთა 69%-ს ოჯახში რაიმე სახის ძალადობა განუცდია.

31%-ს განუცდია ფიზიკური ძალადობა. მათგან 5%-ს – მძიმე ფიზიკური ძალადობა, ხოლო 66% გამხდარა ფსიქოლოგიური აგრესიის მსხვერპლი.

საკვარჯიშოები

განასხვავე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმები.

როგორ ფიქრობ, რა არის საჭირო აღზრდისას ძალადობის ფაქტების შესამცირებლად?



2018 წლის მონაცემებით, საქართველოში კაცების 1.6%-ს, ხოლო ქალების 8.2%-ს მიაჩნია, რომ ფიზიკური დასჯა აუცილებელია ბავშვის სწორად აღზრდისთვის.

საკვარჯიშოები

რამდენად სწორად მიგაჩნია ბავშვის ფიზიკური დასჯა?

ჩამოთვლილთაგან რომელია ძალადობის ფორმა?

ა) ყურის აწევა ბ) ცემა გ)ოთახში გამოკეტვა დ) ყველა ჩამოთვლილი



2013 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 64%-ს ფსიქოლოგიური ძალადობის ყველა ფორმის ამოცნობა შეუძლია, ხოლო ფიზიკური ძალადობის ყველა ფორმის – თითქმის 90%-ს.

საქართველოში მცხოვრები ადამიანების 79% მიიჩნევს, რომ ბავშვის ფიზიკური ან ემოციური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა და ბავშვის უსაფრთხოების რისკების მიმართ უყურადღებობა წარმოადგენს „ბავშვის უგულებელყოფის“ ფორმებს.

საკვარჯიშოები

რა საერთო აქვთ ფიზიკურ ძალადობას, ფსიქოლოგიურ ძალადობასა და უგულებელყოფას?

მიიჩნევ თუ არა უგულებელყოფას ძალადობის ფორმად?



2013 წლის მონაცემებით, ძალადობის ჩამდენ პირთა მიმართ საქართველოში მცხოვრები ადამიანების დამოკიდებულება განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა სახის ძალადობასთან გვაქვს საქმე. ისინი ძალადობის ყველა ფორმას ერთნაირად სერიოზულ დანაშაულად არ მიიჩნევენ.

აღსანიშნია, რომ ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში საქართველოს მოსახლეობის 70% მიიჩნევს, რომ ზოგჯერ ან ყოველთვის რეაგირება უნდა მოახდინოს პოლიციამ, ხოლო რესპონდენტების 65% ფიქრობს, რომ საქმე, ასევე, უნდა გადაეცეს სასამართლოს სამართლებრივი ზომების მისაღებად.

საკვარჯიშოები

რამდენად გამართლებულად მიგაჩნია ბავშვის აღზრდისას ძალადობის ე.წ. „მსუბუქი“ ფორმების გამოყენება?

რამდენად ემხრობი ფიზიკური ძალადობის ჩამდენის მიმართ სასამართლო გარჩევის გამოყენებას?

განმარტვემედი

“კარგი ბავშვი მშობელს უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს.”

- ხალხური



საკარჯიშო

შენი აზრით, როგორი უნდა იყოს კარგი ბავშვი?

გამოწერე წინადადება: ბავშვს უნდა მოვეპყროთ, როგორც თანასწორს – მოვისმინოთ და გავითვალისწინოთ მისი მოსაზრებები თუ სურვილები.

„ბავშვის დასჯას მხოლოდ წუთიერი შედეგი აქვს.“

– ბავშვთა ფსიქოლოგი



სავარჯიშო

აღზრდის რომელ მეთოდებს მიმართავდი
გრძელვადიანი შედეგისთვის?

შენი აზრით, მშობლის მხრიდან როგორ
დამოკიდებულებას მოაქვს გრძელვადიანი შედეგი?

როგორ ფიქრობ, რატომ აქვს დასჯას მოკლევადიანი
შედეგი?

„თუ ბავშვი სხვებისგან გამოირჩევა, ეს არ არის ნორმალური.“

- ხალხური



სავარჯიშო

რას მოიმოქმედებდი, თუ შეამჩნევდი, რომ შენი შვილი თანატოლებისგან რაიმე ნიშნით გამოირჩევა?

შენი აზრით, სად გადის ზღვარი „ხალხის მოსაწონსა“ და „ინდივიდუალურობას“ შორის?

„ბავშვი ჩემია და როგორც მინდა, ისე მოვექცევი.“

– მშობელი



სავარჯიშო

გსმენია თუ არა მსგავსი გამონათქვამი?

როგორ ფიქრობ, რის გამართლებას ცდილობენ მშობლები აღნიშნული გამონათქვამის გამოყენებით?

„მდინარე აღმა მიდის, შენ რაკრაკით უნდა გაიმეორო.“

– ხალხური



საპარჯიშო

ეთანხმები თუ არა გამონათქვამს? პასუხი დაასაბუთე.

შენი აზრით, მშობლებში გავრცელებულ რომელ დამოკიდებულებას მიესადაგება აღნიშნული გამონათქვამი?

„იცელქა და თავი გამალახვინა.“

– მშობელი



სავარჯიშო

მოგიყვანიათ თუ არა მსგავსი ფრაზა ძალადობის
გასამართლებლად?

ვინ არის პასუხისმგებელი ბავშვზე ძალადობაზე?

მე თუ მამაჩემი მცემდა, კარგი არ გავიზარდე?!

– მშობელი



საკვარჯიშო

შენი აზრით, რისთვის იყენებენ ამ გამონათქვამს?

- ა) ძალადობის გასამართლებლად;
- ბ) პოლიტიური აღზრდის მეთოდის დასანერგად;
- გ) აღზრდაში ბავშვზე ორიენტირებული მიდგომის დასანერგად

შენი აზრით, რით განისაზღვრება ბავშვის „სიკარგე“?

„ბავშვის „ჭკუაზე მოყვანის“ ყველაზე მარტივი გზა არის ძალის გამოყენება – ამას არ სჭირდება დიდი დრო და ჭკუა.“

- მშობელი



სავარჯიშო

ეთანხმები თუ არა მოცემულ გამონათქვამს?

რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვთან აღმზრდელობითი საუბრისთვის დროის დათმობა?

„ჩემთვის კარგი უნდოდა და იმიტომ მცემდა.“

– მშობელი



საპარჯიშო

შენი აზრით, როგორ იქცევა მშობელი, რომელსაც ბავშვისთვის კარგი უნდა?

“სხვისი ოჯახის საქმეში ცხვირი არ უნდა ჩაყო.”

– ხალხური



საპარჯიშო

შენი აზრით, სად გადის ზღვარი სხვისი ოჯახის საქმეში ჩარევასა და სოციალურ პასუხისმგებლობას შორის?

„ამასთან ცემისა და ყვირილის გარდა,
არაფერი ჭრის!“

– მშობელი



საპარჯიშო

ეთანხმები გამონათქვამს?

როგორი გრძელვადიანი შედეგი შეიძლება ჰქონდეს
მსგავს მიდგომას?

„შვილი იმისთვის უნდა გაზარდო, რომ სიბერეში
მოგიაროს.“

– ხალხური



სავარჯიშო

რა უნდა იყოს შვილის გაზრდის მთავარი მოტივაცია?

„შენგან არაფერი გამოვა!“

– მშობელი



საკვარჯიშო

რა შედეგი შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის მიმართ
მშობლის მსგავსმა მიმართვამ?

„მტრად გაზარდე, მოყვრად გამოგადგება.“

- ხალხური



საპარჯიშო

როგორ ფიქრობ, რამდენად სწორია მსგავსი
დამოკიდებულება, როდესაც საქმე ბავშვის აღზრდას
ეხება?



მითები ღრეალობა

მითი: მშობლობა ბუნებრივი რამაა და სწავლა არ სჭირდება.
რეალობა: მნიშვნელოვანია, ინფორმირებული იყო პოზიტიური აღზრდის მეთოდების შესახებ.



მითი: ბავშვს თუ აღზრდისას მკაცრად არ მოექცევი, გაფუჭდება.
რეალობა: მკაცრი აღზრდა, რომელიც ბავშვზე ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ ძალადობას გულისხმობს, გრძელვადიან პერსპექტივაში ნეგატიურ შედეგებს იწვევს.



მითი: ბავშვი უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს მშობელს.
რეალობა: ბავშვს უნდა მოვეპყროთ, როგორც თანასწორს.



მითი: „კარგი ბავშვი“ უნდა იყოს დამჯერი.
რეალობა: ბავშვის უპირობო მორჩილება არ უნდა იყოს აღზრდის მიზანი.



მითი: ძალადობის ე.წ. „მსუბუქი ფორმები“ არ შეიძლება ჩაითვალოს ძალადობად.
რეალობა: ყველა ტიპის ძალადობა მიუღებელია. ბავშვისთვის ყურის აწევა, ჩქმეტა, შეჯანჯღარება, წამორტყმა – ეს ყველაფერი ფიზიკური ძალადობის ფორმაა.

მითი: საზოგადოების მხრიდან ძალადობაზე რეაგირებას აზრი არ აქვს.

რეალობა: ძალადობაზე სწორი რეაგირების შემთხვევაში ბავშვის დაცვის ორგანიზაციები შესაბამის დახმარებას გაუწევენ და ის უფრო უსაფრთხოდ იგრძნობს თავს.



მითი: ძალადობას აღმზრდელობითი დანიშნულება აქვს.

რეალობა: ძალადობის გამართლება არ შეიძლება შვილის „კარგად აღზრდის“ სურვილით. ბავშვს ნებისმიერი ფორმის ძალადობა აზიანებს.



მითი: ბავშვის ნაცვლად გადაწყვეტილება ყოველთვის უფროსებმა უნდა მიიღონ, რადგანაც თავად არ შეუძლია განსაზღვროს, რა არის მისთვის კარგი და რა – ცუდი.

რეალობა: ბავშვს უფლება აქვს, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება, ხოლო უფროსების მოვალეობა მოსალოდნელი შედეგების შესახებ მისი ინფორმირებაა.

ნახატი ღ სიტყვა

პოზიტიური კლზრდა



ნდობა და უსაფრთხოება



უთხარით თბილი და სიყვარულის გამომხატველი სიტყვები დაბალი ხმით, მშვიდად ან სიმღერით.



მნიშვნელოვანია ფიზიკური კონტაქტი – ჩახუტება, მოფერება, თავის ხელზე გადასმა, ხელის ჩაკიდება და ა.შ.



არ უნდა მივატოვოთ, როცა ტირის. დავიცვათ ოქროს შუალედი: ყოველთვის მოვახდინოთ რეაგირება ტირილზე. მიტოვება არ ნიშნავს, რომ ის ამით დამოუკიდებლობას სწავლობს. მოფერება და ხელში აყვანა კარგი მეთოდია ბავშვის დასაწყნარებლად.



იყავით აქ და აბჟამად



ყოველთვის ეცადეთ, გაახმოვანოთ ნივთები და მოქმედებები: „ეს კოვზია, ახლა ჩვენ საჭმელს შევჭამთ“, „ეს დათუნია“.



შექმენით რიტუალები: ძილის წინ, ჭამის დროს, დაბანის დროს, თამაშის რიტუალი და ეცადეთ მათ დაცვას.



ემოციური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება



ხშირად მიმართეთ სახელით, რათა განუვითაროთ „მე-ს“ შეგრძნება. აგრძნობინეთ, რომ ის თქვენთვის ინდივიდია.



გაახმოვანეთ ემოციები: როცა ბავშვი ტირის, უთხარით, „ვიცი, რომ ახლა გაბრაზებული ხარ. გშია და საჭმელი მალე მომზადდება“ და ა.შ. სიტყვებთან ერთად აუცილებელია ემოციის ტონითა და მიმიკების დახმარებით ჩვენებაც.



განუვითარეთ „მე-ს“ შეგრძნება და ავტონომიურობა



მივცეთ პირადი სივრცის განცდა - „შეიძლება, ჩაგაცვა?“
„შეიძლება, ავიღო?“



გამოცადოს ახალი უნარები: უსაფრთხო გარემოში მივცეთ
საშუალება, იაროს, იცოცოს თუ მოსინჯოს ნივთები...



ემოციებისა და აზრობის გამოხატვა და გაზიარება / მიღება



მოუსმინეთ და გაითვალისწინეთ მისი აზრი და არჩევანი - დაუსვით შეკითხვები მოსმენილზე - „შენ როგორ მოიქეცი ამის მერე?“ „რა იგრძენი?“



დავინტერესდეთ და გავუხმოვანოთ, თვითონ რას გრძნობს: „გაბრაზებული ხარ?“ „სევდიანი ხარ?“ „მომიყვები, თავს როგორ გრძნობ?“ ბავშვს ვაჩვენოთ, რომ მშობელს ესმის მისი შინაგანი მდგომარეობის და მზადაა მხარდასაჭერად.



დაეხმარეთ, აითვისოს თვითმოვლის ჩვევები



მიანიჭეთ პასუხისმგებლობა - „თოჯინები ამ ყუთში დევს, მანქანები მოდი აქ ჩავაწყოთ. მანქანებსა და კუბიკებს ცალ-ცალკე ვინახავთ, ვინაიდან სხვადასხვა სათამაშოა. მოდი, კუბიკები, აი, აქ ჩაყარე“; „ყოჩაღ, ნახე, რა კარგად გამოგდის...“



ასწავლეთ სურვილის გადავადება



„ახლა შენი ჯერია... ახლა მოიცადე – ჯერ ჩემი ჯერია“ –
ჯერის დაცვა სურვილის გადავადების პირველი ნაბიჯია.



დაიცავით რუტინა და თანმიმდევრულობა




დღის რუტინის ცოდნა უსაფრთხოების შეგრძნებას აძლიერებს - დაიცავით რუტინა.

მაგ: შეეცადეთ, საქმიანობები ყოველდღიურად ერთი თანმიმდევრობით აკეთოთ. მაგალითად, თუ ძილის წინ ბანაობთ, შემდეგ კი წიგნს უკითხავთ და იძინებთ, შეეცადეთ, ეს ყოველდღე ასე იყოს.



თუ რეჟიმი იცვლება, აუხსენით რატომ: „ხვალ სტუმრად მივდიოდით, მაგრამ მამა სამსახურში დაიბარეს, ამიტომ ხვალის ნაცვლად ზეგ წავალთ.“



არჩვენეთ, რა მოჰყვება არასასურველ ქცევას



გამოიყენეთ თანმიმდევრული რეაგირების მექანიზმი: თუ არ მიყვება თამაშის წესებს, შეწყვიტეთ და განაახლეთ ის მოგვიანებით, ოღონდ წესებზე თავიდანვე შეთანხმდით და აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ წესებზე თანხმდებით ერთად – ისმენთ და ითვალისწინებთ ბავშვის აზრსაც.



სარისხიანი ურთიერთობა, დროის ერთად გატარება, ერთად კეთება



ითამაშეთ ერთად. თუ თამაშის დრო არ გაქვთ, ჩართეთ ბავშვი ყოველდღიურ სახლის საქმიანობებში. ერთად მოზილეთ ცომი, დალაგებისას დაავალეთ ნივთების გადაადგილება.



დაეხმარეთ, გაერკვეთ საკუთარ სურვილებსა და შესაძლებლობებში



ყოველთვის ჩართეთ ბავშვი მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში. კითხეთ, ორ სასურველ საჭმელს შორის რომელს აირჩევს; რომელი ფილმის ყურება უნდა; ტანსაცმლის საყიდლად ერთად წადით და სხვა.



მშობლისათვის მიუღებელ ქცევაზე რეაგირება



ყოველთვის გაახმოვანეთ, როგორი ქცევაა თქვენთვის სასურველი.

ის, რაც მშობლისთვის მიუღებელი და არასასურველი ქცევაა, შესაძლოა, ბავშვისთვის ხალისისა და გართობის წყარო იყოს. ამიტომ ხაზგასმით აუხსენით ბავშვს, თუ რა არის თქვენთვის მისაღები და რა – მიუღებელი. იმის მაგივრად, რომ ვუთხრათ „ტახტზე ფეხსაცმლით ნუ დახტიხარ!“, უმჯობესია, სათქმელს სხვა ფორმულირება მისცეთ. მაგ.: „ფეხზე გაიხადე და ისე იხტუნავე, ხოლო საწოლი რომ არ გაფუჭდეს, იქნებ უფრო ფრთხილად იყო ან გართობისთვის სხვა ადგილი იპოვო.“



იყავით თანმიმდევრულნი რეაგირების მექანიზმების დაცვაში. ეცადეთ, ყოველთვის შეასრულოთ შეთანხმება – იქნება ეს რაიმე სანქცია თუ პოზიტიური დაპირება.



ბავშვის ქცევაზე ოჯახის ყველა წევრს უნდა ჰქონდეს იდენტური რეაგირება - ამისთვის საჭიროა, მშობლები მივიდნენ კონსენსუსამდე და ოჯახის სხვა წევრებსაც აუხსნან, როგორ რეაგირებენ ისინი ბავშვის კონკრეტულ ქცევაზე და რას მოელიან ოჯახის სხვა წევრებისგანაც.



აქცენტი ყოველთვის გააკეთეთ ქცევაზე და არა პიროვნებაზე. მაგალითად, ვთქვათ – „ეს უზრდელობაა“ და არა – „უზრდელი ხარ.“



შექება



შექება ყოველთვის კონკრეტულ ქცევაზე უნდა იყოს ორიენტირებული. მნიშვნელოვანია მოსაწონი ქცევების აღნიშვნა, რომელზეც არ გვქონდა თავდაპირველი შეთანხმება. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ ეს კარგი იყო და მშობელს ეს ყოველთვის მოეწონება მაგ.: რა კარგია, რომ წინასწარ შემითანხმე – მიუხედავად იმისა, რომ ამაზე არ გვისაუბრია.



შეამცირეთ შენიშვნები



10 შენიშვნიდან ჩამოდით 2-3-ზე. თუ ბავშვს ყველაფერზე შენიშვნას მივცემთ, ეს მასზე ემოციურად უარყოფითად იმოქმედებს. შესაძლოა, უკურეაქციებიც მივიღოთ – თავი ვერ იგრძნოს ღირებულ ადამიანად და იფიქროს, რომ მშობელს ის არ უყვარს ისეთი, როგორც არის.



ყოველთვის შესთავაზეთ თანამშრომლობა - ბავშვის სათქმელს ბოლომდე ვისმენთ, ვხსნით ჩვენს უკუკავშირს, თუ რატომ ვფიქრობთ ასე და ვამყარებთ არგუმენტებით. ასევე, ვისმენთ მის არგუმენტებსაც და ერთად მივდივართ გადაწყვეტილებამდე.



ყველა ტყუილს აქვს მიზეზი. შეეცადეთ, გაარკვიოთ, რადგან ბავშვის ამ ქცევის უკან - რატომ დასჭირდა ტყუილის თქმა. ყოველთვის მოიძიეთ ქცევის გამომწვევი მიზეზები – დავინახოთ, ბავშვი თავისი ქცევით მის რომელ საჭიროებას იკმაყოფილებს.



მიეცით ავტონომია და მიანიჭეთ კასუსისმგებლობა



დაიცავით მისი სივრცე: ბავშვის ოთახში შესვლამდე ყოველთვის დააკაკუნეთ. მის ნივთებს სანამ აიღებთ, სთხოვეთ ნებართვა და მისგანაც იგივე მოითხოვეთ.



მიანიჭეთ ავტონომია კონკრეტული პირობით. მაგალითად, გაუშვით სასეირნოდ, თუმცა იმ პირობით, რომ შეგატყობინებთ, შეხვდა თუ არა მეგობარს და ვისთან ერთად იქნება და რომ დროულად მოვა სახლში.

რა უნდა ვიცოდეთ ბავშვის უფლებებისა და მათი დაცვის შესახებ

ალბათ, იცი, რომ ბავშვს, როგორც ყველა ადამიანს, აქვს უფლებები. მათი დაცვა, მშობლებთან და საზოგადოებასთან ერთად, სახელმწიფოს, ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების პასუხისმგებლობაა. აქ მოგიყვებით საქართველოში მოქმედი რამდენიმე დოკუმენტის შესახებ, რომლებიც სწორედ ბავშვის უფლებების დაცვას ემსახურება.

„ბავშვის უფლებათა კონვენცია“

„ბავშვის უფლებათა კონვენცია“ არის საერთაშორისო იურიდიული დოკუმენტი, რომელიც ანიჭებს ბავშვებს უფლებებს და ამ უფლებების დაცვის მთავარ საფუძველს წარმოადგენს. 1994 წელს საქართველო შეუერთდა გაერთიანებული ერების „ბავშვის უფლებათა კონვენციას“^[1], რომელმაც შეცვალა ბავშვების აღქმაც და მათდამი დამოკიდებულებაც. კონვენცია აღიარებს, რომ ბავშვებს განსაკუთრებული ზრუნვა და დაცვა სჭირდებათ და რომ ბავშვის პიროვნების სრული და პარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია, ის იზრდებოდეს ოჯახურ, ბედნიერების, სიყვარულის და ურთიერთგაგების გარემოში. უფრო მეტიც, კონვენცია ოჯახებზეც ზრუნავს და გვეუბნება, რომ ოჯახი, რომელიც უმთავრესია ბავშვის ზრდისა და კეთილდღეობისათვის, აუცილებლად უნდა იყოს დაცული, სახელმწიფომ მაქსიმალური თანადგომა და მხარდაჭერა უნდა გაუწიოს მას და პატივი სცეს მშობლებს, რომლებიც ერთობლივად აგებენ პასუხს ბავშვის აღზრდაზე. კონვენციასთან მიერთებით საქართველომ იკისრა ვალდებულება, დაიცვას კონვენციით გათვალისწინებული ბავშვის უფლებები, რომლებიც ემყარება ოთხ ძირითად პრინციპს:

დისკრიმინაციის აკრძალვა - კონვენციით გათვალისწინებული თითოეული უფლება ყველა ბავშვისთვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე. სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ყველა ბავშვის უფლება რელიგიის, ეროვნების, კანის ფერისა და სხვა განსხვავებების მიუხედავად.

ბავშვის საუკეთესო ინტერესები - ბავშვის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ქმედების დროს, უპირველეს ყოვლისა დაცული უნდა იყოს ბავშვის ინტერესები. მიუხედავად იმისა, თუ ვინ ახორციელებს ამ ქმედებას - სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულება ან ფიზიკური პირი, ის უნდა გამოიმდინარეობდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან.

სიცოცხლე, გადარჩენა და განვითარება - კონვენციას მიერთებული ყველა სახელმწიფო ვალდებულია, მაქსიმალურად შესაძლო დონეზე უზრუნველყოს ბავშვის გადარჩენა და ჯანსაღი განვითარება. ბავშვს აქვს სიცოცხლისა და გადარჩენის უფლება, სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის, წყლითა და სანიტარული სისტემით უსაფრთხოდ სარგებლობის უფლება. ბავშვს აქვს განათლების, ინდივიდუალობის განვითარების, გონებრივ თუ ფიზიკურ შესაძლებლობათა სრულად გამოვლენის უფლება. ბავშვს აქვს უფლება, დაცული იყოს ნებისმიერი სახის შეზღუდვისა და ექსპლუატაციისაგან, ომისა და გაჭირვებისაგან.

მოსმენა - ბავშვს აქვს უფლება, გააჩნდეს საკუთარი აზრი, თავისუფლად გამოხატოს თავისი შეხედულებები და მიიღოს სასურველი ინფორმაცია.

„ბავშვის უფლებათა კოდექსი“^[2]

2019 წელს საქართველოს პარლამენტმა „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ მიიღო. კოდექსის ძირითადი მოთხოვნაა, ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი 2019 წელს საქართველოს პარლამენტმა „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ მიიღო. კოდექსის ძირითადი მოთხოვნაა, ბავშვთან დაკავშირებული ნსამართლებრივი თუ

ადმინისტრაციული პროცედურა მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით განხორციელდეს. ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა, ისეთი როგორც არის ბავშვის კეთილდღეობა, უსაფრთხოება, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, განვითარება, საზოგადოებრივი, ზნეობრივი და სხვა ინტერესები, უნდა განხორციელდეს მისი ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მისი მონაწილეობით და მისი მოსაზრების გათვალისწინებით. კოდექსი ისეთ სამართლებრივ გარანტიებს იძლევა, რომლებიც უადვილებს ბავშვებს, დამოუკიდებლად დაიცვან თავიანთი უფლებები ბავშვისთვის მეგობრული და ბავშვზე მორგებული მექანიზმების საშუალებით. კოდექსი, სხვა უფლებებთან ერთად, დიდ ყურადღებას უთმობს ბავშვის უფლებას ოჯახზე. „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მსგავსად, კოდექსი ადგენს ბავშვის უფლებას, „ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში, სადაც შექმნილია პირობები მისი ჰარმონიული აღზრდისა და განვითარებისთვის და კეთილდღეობისთვის“. კოდექსის 28-ე მუხლი განსაზღვრავს ოჯახის მხარდაჭერის პროგრამას, რომლის „შინაარსი, ფორმა და ხანგრძლივობა ინდივიდუალურად, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისა და მისი ოჯახის მდგომარეობის შეფასების საფუძველზე განისაზღვრება³³“. პროგრამის შესაძლო ღონისძიებების განსაზღვრისას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ბავშვის აღზრდისა და განვითარების პოზიტიური მეთოდების გამოყენებას, „ბავშვთან არაძალადობრივი კომუნიკაციის და ბავშვის უფლებების რეალიზების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელ საინფორმაციო, საკონსულტაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებებს³⁴“, მათ შორის „პოზიტიური მშობლობისა და ბავშვზე ზრუნვის უნარების გაძლიერების კურსების ჩატარებას³⁵“.

„ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრულია ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერისთვის პასუხისმგებელი ინსტიტუტების ვალდებულებები და უფლებამოსილებები. მათ შორის, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, იუსტიციის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს საერთო სასამართლოების, მუნიციპალიტეტის ორგანოების, საქართველოს სახალხო დამცველის და ა.შ

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის („რეფერირების“) პროცედურები“

ბავშვთა დაცვის ერთ-ერთ ეფექტიან ინსტრუმენტს წარმოადგენს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის („რეფერირების“) პროცედურები“, რომლის მიზანია ბავშვის დაცვა ძალადობის ყველა ფორმისგან ოჯახში და მის გარეთ. 2016 წელს დამტკიცებული ბავშვთა ძალადობისგან დაცვისთვის აუცილებელი გასატარებელი პროცედურები, განსახორციელებელ ქმედებებთან ერთად, განსაზღვრავს „რეფერირების“ პროცესში მონაწილე სუბიექტებს, რომლებიც მოქმედებენ ბავშვთა უფლებებისა და საუკეთესო ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი დანაყოფები;
2. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შესაბამისი დაწესებულებები და ამ სამინისტროთა სახელმწიფო კონტროლს

დაქვემდებარებული/მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირები;

3. საქართველოს პროკურატურა;
4. სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრი;
5. საბავშვო ბალები;
6. სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური;
7. საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებები;
8. ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებები და თავშესაფრები;
9. სამედიცინო სერვისების მიმწოდებლები (მათ შორის, სოფლის ექიმები);
10. მუნიციპალიტეტების გამგეობა/მერია (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში - მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობა)/მისი უფლებამოსილი დაწესებულება (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი).

„რეფერირების“ პროცედურებით, ასევე, დეტალურადაა განსაზღვრული მასში ჩართული სახელმწიფო უწყებებისა და ბავშვთან მომუშავე სპეციალისტების ვალდებულება ძალადობის დროულ იდენტიფიცირებასა და შემდგომ რეაგირების პროცესში.

სამწუხაროდ, ზემოთ წარმოდგენილი საკანონმდებლო ნორმების მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის რეალობაში ბავშვთა უფლებები მაინც ხშირად ირღვევა. ფიზიკური ძალადობის ფაქტების გარდა, ხშირია ბავშვებზე ფსიქოლოგიური ძალადობა, რომლის გამოვლენა ფიზიკურ ძალადობასთან შედარებით ბევრად რთულია. ფსიქოლოგიური ძალადობა ბავშვის ფიზიკურ და ემოციურ განვითარებაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს, ხოლო ბავშვის რეაბილიტაციის პროცესში წაყვანილი როლი ეკისრება ოჯახს.

პოზიტიური მშობლობა - ეს არის ძალადობის გარეშე, ბავშვის განვითარებისთვის საუკეთესო გარემოს შექმნის მეთოდი. ის მნიშვნელოვნად ეხმარება მშობელს, უზრუნველყოს ოჯახში ბავშვის განვითარებისა და რეალიზაციისთვის უსაფრთხო და ჰარმონიული გარემო. ბავშვის აღზრდის პროცესში მშობლის მხარდაჭერას კი გადამწყვეტი როლი აქვს ბავშვის კეთილდღეობისა და ჯანსაღი განვითარებისათვის. სწორედ ამ ამოცანას ემსახურება „მშობლის დედაენა“, რომელიც მშობლების ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვასთან ერთად, ზემოაღნიშნული სამართლებრივი მექანიზმების პრაქტიკული რეალიზაციის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

[1] https://www.unicef.org/georgia/sites/unicef.org.georgia/files/2019-03/CRC_ge.pdf

[2] <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2>

[3] *Ibid*

[4] *Ibid*

პროექტზე მუშაობდნენ



